ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N

30 12 16 347/30

ქ. თბილისი

30 დეკემბერი, 2016 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის სახით
მისამართი: სანაპიროს ქ. №2, თბილისი 0114, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148

მიმწოდებელი: შ.პ.ს. "ქოლ ცენტრი", დირექტორის მზია სხირტლაძის სახით
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის 1მ/რ, კორპ.18 ბინა 22 (ფაქტიური მისამართი ქიაჩელის ქ. №12) ტელ.:2441020
საიდენტიფიკაციო კოდი: 204495046
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი" ბანკის; ბ/კ TBCBGE22; ა/ა № GE56TB1100000360200346

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ შემსყიდველსა და მეორეს მხრივ მომწოდებელს შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, (ა) ქვე-პუნქტის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში მომართვის რეგისტრაციის No: SPA160003105.
ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მომსახურების შესყიდვა.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული მომსახურება წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფას (CPV კოდი 64211000), ხელშეკრულების პირობების და მისი დანართი №1–ის, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად.

1.3. შემსყიდველს სატელეფონო საინფორმაციო მომსახურება გაეწევა მის მფლობელობაში არსებული ფიქსირებული სატელეფონო ნომრებიდან ორ ნომერზე: 2406178; 2406292. დანართი №1–ში მითითებულ საკონსულოებთან სატელეფონო საინფორმაციო მომსახურება იწარმოებს ყოველდღიურად ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9.00–18.00 სთ–მდე (სადღესასწაულო და დასვენების დღეების გარდა, 13.00–14.00 სთ. შესვენება).

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და პრეზიდენტის აპარატის უფროსი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა (თვეში ერთხელ) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. მომსახურების (მისი ნაწილის) გაწევის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.5. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100.00 (ასი) ლარს („ხელშეკრულების ფასი").

4.2. მომსახურებისათვის გამოყენებული ტარიფები დადგენილია დანართი №1-ით.

4.3. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.4. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.5. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სატელეფონო კავშირი;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 15%–ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დავათა განხილვის წესი

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

11.3. ხელშეკრულების გაწყვეტის ინიციატორი ვალდებულია, სულ მცირე 30 დღით ადრე, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

11.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
გიორგი მელაშვილი _____	**მზია სხირტლაძე** _____
საქართველოს ეროვნული ბანკი აღმასრულებელი დირექტორი	შ.პ.ს. „ქოლ ცენტრი" დირექტორი

დანართი 1.

შპს "ქოლ ცენტრი"-ს სატელეფონო ნომრები:

1. 0 900 007001- გერმანიის საკონსულოს საინფორმაციო მომსახურება (გერმანია, პორტუგალია, ფინეთი)

2. 0 900 007033- საფრანგეთის საკონსულოს საინფორმაციო მომსახურება (საფრანგეთი, ნორვეგია, ისლანდია, მონაკო)

შემომავალი ზარის ღირებულება შეადგენს 3 (სამი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
გიორგი მელაშვილი _____	**მზია სხირტლაძე** _____
საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი	შ.პ.ს. „ქოლ ცენტრი" დირექტორი

ბ.ა.

ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ საკონსულოებთან სატელეფონო საინფორმაციო მომსახურების (მიმწოდებელი შპს „ქოლ ცენტრი“) შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გიორგი მელაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი მელაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

ქეთევან ახალკაცი

პრეზიდენტის აპარატის უფროსი

ბექა ბარბაქაძე

ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი

თამარ ურუშაძე

ლოჯისტიკის დეპარტამენტის
სპეციალისტი

30.12.2016